საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302216429**
თარიღი: **13/06/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: კოსტავას 37

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.გ" ქვეპუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში ასახულ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებზე ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს; ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მიმდინარე წლის 3 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივა ონკოდაავადებულების PET/KT (პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. მათივე განმარტებით ზემოაღნიშნული ცვლილება განპირობებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი და დროული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის თანადაფინანსების მიზნით, რომლის ღირებულება ძალიან მაღალია და ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ვინაიდან მუნიციპალიტეტის შესაბამისი პროგრამა უკვე აფინანსებს სასწრაფო გადაუდებელ მაგნიტო რეზონანსულ ტომოგრაფიას, კომპიუტერულ ტომოგრაფიებს და ანგიოგრაფიულ კვლევებს. ფრაქცია შემოვიდა წინადადებით სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის დაფინანსება. ინიციატივას თან ერთვის შესაბამისი ცვლილების დეფინიცია. ასევე თხოვნა საკითხის განხილვისა და შესაძლებლობის ფარგლებში მიმდინარე წელს მოხდეს სოციალურ პროგრამებში მათი გათვალისწინება.

მერიის მიერ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივა ონკოდაავადებულების PET/KT (პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული კვლევის ღირებულება ძალიან მაღალია დაახლოებით 2500 ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. ასევე შეინიშნება ონკოდაავადებულების მზარდი ტენდენცია, რომლებიც საჭიროებენ ზემოაღნიშნული მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას. აღნიშნული კვლევა არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ონკოლოგიური პაციენტებისაგან ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით არის მომართვიანობა. კვლევის დაფინანსების მიზანია ონკოდაავადებულების სრული დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა. სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია მაგნიტო- რეზონანსულ ტომოგრაფიის, კომპიუტერულ ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიულ კვლევების სახელმწიფო პროგრამებით დაუფინანსებელი ნაწილის 50% თანადაფინანსება. თუმცა ინიცირებული ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსება არ არის გათვალიწინებული მისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოიძებნა ფინანსური რესურსი 10 000 ლარის ოდენობით და სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატება პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. ხოლო სასწრაფო გადაუდებელი პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) შემთხვევაში კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე) აღნიშნული ფინანსური რესურსით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 17 ბენეფიციარის კვლევის დაფინანსება. აუცილებელია ცვლილება შევიდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამულ ბიუჯეტში და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №1 დადგენილებაში კერძოდ: პროგრამული ბიჯეტის სამკურნალო- საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაში (პროგრამული კოდი 06.02.03) პროგრამის აღწერა და მიზანი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი)

ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №1 დადგენილების (ვებგვერდი, 26/01/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016467) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართის

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის „ მე-4 მუხლის „გ“ პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე საჭიროა გაცემის წესში საკრებულოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად შეიცვალოს შესაბამისი სამსახურების დასახელებები და დახმარების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის წევრების შემადგენლობა.

ვინაიდან ცვლილება უნდა შევიდეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სამსახურს მიზანშეწონილად მიგვაჩნია უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დაიწყოს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შესატანად ადმინისტრაციული წარმოება.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილი პროექტი გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას. პროექტს თან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განმარტებითი ბარათი პროექტის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის ამავე სამსახურის უფროსის, თამარ ფირცხალაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების
სამსახური

წერილის ნომერი:**02-302216048**
თარიღი: **09/06/2022**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსის თამარ ფირცხალაიშვილის

მოხსენებითი ბარათი

მიმდინარე წლის 3 ივნისს ჩვენს სამსახურს თქვენი რეზოლუციით დაგვეწერა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ინიციატივა ონკოდაავადებულების PET/KT (პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. მათივე განმარტებით, ზემოაღნიშნული ცვლილება განპირობებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი და დროული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის თანადაფინანსების მიზნით, რომლის ღირებულება ძალიან მაღალია და ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ მაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ვინაიდან მუნიციპალიტეტის შესაბამისი პროგრამა უკვე აფინანსებს სასწრაფო -გადაუდებელ მაგნიტო რეზონანსულ ტომოგრაფიას, კომპიუტერულ ტომოგრაფიებს და ანგიოგრაფიულ კვლევებს. ფრაქცია შემოვიდა წინადადებით სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის დაფინანსება. ინიციატივას თან ერთვის შესაბამისი ცვლილების დეფინიცია. ასევე თხოვნა საკითხის განხილვისა და შესაძლებლობის ფარგლებში მიმდინარე წელს მოხდეს სოციალურ პროგრამებში მათი გათვალისწინება.

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ინიციატივა ონკოდაავადებულების PET/KT (პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული კვლევის ღირებულება ძალიან მაღალია დაახლოებით 2500 ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. ასევე შეინიშნება ონკოდაავადებულების მზარდი ტენდენცია, რომლებიც საჭიროებენ ზემოაღნიშნული მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას. აღნიშნული კვლევა არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ

ნაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ონკოლოგიური პაციენტებისაგან ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით არის მომართვიანობა. კვლევის დაფინანსების მიზანია ონკოდაავადებულების სრული დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა. სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია მაგნიტო- რეზონანსულ ტომოგრაფიის, კომპიუტერულ ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიულ კვლევების სახელმწიფო პროგრამებით დაუფინანსებელი ნაწილის 50% თანადაფინანსება. თუმცა ინიცირებული ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსება არ არის გათვალიწინებული მისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე. მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი 10 000 ლარის ოდენობით და სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. ხოლო სასწრაფო გადაუდებელი პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) შემთხვევაში კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) -რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე) აღნიშნული ფინანსური რესურსით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 17 ბენეფიციარის კვლევის დაფინანსება.

გთხოვთ, დაავალოთ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ფრაქციის მიერ ინიცირებული პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა. სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში, სამსახური მოამზადებს საკრებულოში წარსადგენი სამსართლებრივი აქტების პროექტებს. მოხსენებით ბარათს თან ერთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ მიერ სამართლებრივი აქტის პროექტის ინიციატივა.

დანართი 9 ფურცელი.

პატივისცემით,

თამარ ფირცხალაიშვილი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური-ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი: **31-31221503**
თარიღი: **03/06/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ

სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს უზრუნველყოს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სხვა პროგრამების მომზადება თუ განხორციელება. ხოლო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკრებულოს ფრაქციას აქვს უფლება მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს სამართლებრივი აქტის პროექტები. ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მერი არის ასევე საბიუჯეტო სახსრების განკარგვისთვის პასუხისმგებელი, ასევე თავად უზრუნველყოფს სხვადასხვა პროგრამების წარდგენას და განხორციელებას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

კერძოდ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე ამავე ფრაქციის წევრმა, ელისო ჭიჭინაძემ დააყენა წინადადება ონკოდაავადებულების PET/KT (პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით.

ცვლილება განპირობებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და დროული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის თანადაფინანსების მიზნით, როლის ღირებულება ძალიან მაღალია და ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ვინაიდან, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პროგრამა უკვე აფინანსებს სასწრაფო - გადაუდებელი მაგნიტო - რეზონანსული ტომოგრაფიებს, კომპიუტერული ტომოგრაფიებს და ანგიოგრაფიულ კვლევებს, შემოვდივართ ინიციატივით სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET-CT) კვლევის დაფინანსება.

წარმოგიდგენთ ინიციატივას და თვალსაჩინოებისთვის შესაბამისი ცვლილების დეფინიციას, თუ როგორ წარმოგვიდგენია მისი განხორციელება.

გთხოვთ, განიხილოთ და შესაძლებლობის შემთხვევაში, მიმდინარე წელს უზრუნველყოთ შესაბამის სოციალურ პროგრამაში მისი გათვალისწინება.

პატივისცემით,

ია მოქია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

2800, ლანჩხუთი, მ.კოსტავას #37, ტელ: 0494223005

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ

ბესიკ ტაბიძეს

ამავე საკრებულოს ლესა-ჯურუყვეთის ადმინისტრაციული

ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის

ელისო ჭიჭინაძის

სადეპუტატო ინიციატივა

ბატონო ბესიკ,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 44 და 45 მუხლების თანახმად წარმოგიდგენთ სადეპუტატო ინიციატივას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ონკოდაავადებულების (PET/KT (პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია) კვლევის თანადაფინანსების შესახებ.

გთხოვთ, დაინტერესდეთ აღნიშნული პრობლემური საკითხით და მოხდეს აღნიშნული საკითხის განხილვა საკრებულოს შესაბამის კომისიებში, რის შემდეგაც საკითხი გატანილ იქნება საკრებულოს პლენარულ სხდომაზე.

დანართი: სადეპუტატო ინიციატივა

პატივისცემით,

მაჟორიტარი დეპუტატი

ელისო ჭიჭინაძე

რიცხვი. თვე.წელი.

23.05.2022 წელი

სადეპუტატო ინიციატივა

(PET/KT (პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია) კვლევის დაფინანსების შესახებ)

პროგრამის მიზანი

(PET/KT (პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია) კვლევა თანამედროვე მედიცინაში მიჩნეულია ოქროს სტანდარტად. აღნიშნული კვლევის დაფინანსების მიზანია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ონკოდაავადებულების სრულყოფილი დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორის ტაქტიკის შერჩევა.

პრობლემის არსი

ქვეყანაში, მათ შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეინიშნება ონკოდაავადებულების მზარდი ტენდენცია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დაავადებულთა 80 %-ზე მეტი სოციალურად დაუცველია, ან გააჩნიათ მწირი შემოსავალი. შემოსავლების სიმცირის გამო აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები ვეღარ ახდენენ დაავადების პრევენციას და მკურნალობის სრული კურსის განხორციელების მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარებას.

პრობლემის გადაჭრის გზა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 01 იანვრისათვის აღრიცხულია ------ მოქალაქე, რომელთაც ესაჭიროებათ მაღალტექნოლოგიური (PET/KT (პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია) კვლევის დაფინანსება. ამ კვლევის სავარაუდო ღირებულება არნიშნული პერიოდისათვის შეადგენს დაახლოებით 2500-3000 ლარს. მიზანშეწონილად მიმაჩნია, აღნიშნული ღირებულების 30 %, ანუ, დაახლოებით ერთ მოქალაქეზე 750 დან 900 ლარამდე დააფინანსოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ. დაფინანსება უნდა შეეხოს მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც სოციალური დაცვის ერთიან ბაზაში გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000 მდე.

დაფინანსებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი

აღნიშნული პრობლემის ეტაპობრივად მოგვარების მიზნით 2022 წლის განმავლობაში სულ 15 პაციენტზე გათვლით, საჭიროა 11300 დან, 14 000 ლარამდე ფინანსური რესურსი. გამომდინარე იქედეან, რომ მერიის 2022 წლის დამტკიცებულ პროგრამულ ბიუჯეტში, აღნიშნული კატეგორიის პირების დაფინანსების მიზნით, შესაბამისი პროგრამა არ არსებობს, ამიტომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე საჭიროა მოიძებნოს საჭირო ფინანსური რესურსი და შედგეს შესაბამისი პროგრამა.

მისაღები შედეგი

დაფინანსების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ონკოდაავადებულთა საერთო მდგომარეობა. მათ შეეძლებათ მოახდინონ თავიანთი მძიმე სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და საოჯახო ბიუჯეტის დაზოგვა, ასევე დიაგნოსტირების შემდეგ, სწორი მკურნალობის დაგეგმვა, რის შედეგაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება აღნიშნული პირების საერთო მდგომარეობა

დაფინანსების წყარო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შესაბამისად დაგეგმილია სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ასევე ცნობილია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების დროს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოიშობა გარკვული სახის ეკონომიები. სწორედ ამ ეკონომიების საშუალებით მიზანშეწონილია მოხდეს ჩემს მიერ წარმოდგენილი სოციალური პროგრამის დაფინანსება. დაფინანსება ასევე შეიძლება მოხდეს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი შემოსავლების ხარჯზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი და სხვა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

წერილის ნომერი:**05-302216420**
თარიღი: **13/06/2022**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს განსახილველად დაგვეწერა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების მიმდინარე წლის 09 ივნისის N02-302216045 წერილი სოციალურ პროგრამებში დამატებით 20,0 ათასი ლარით დაფინანსების თაობაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, როგორც გამონაკლისი თანახმა (საფინანსო წლის შიგნით) პროგრამის აქტუალობიდან გამომდინარე გაიზარდოს დაფინანსება (ორგ.კოდი 060217) 10,0 ათასი ლარით, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვომობის გაზრდის მიზნით სამკურნალო საოპერაციო ხარჯების (ორგ.კოდი 060203) პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის კვლევის თანადაფინანსების (20%-ი 130000 ქულამდე) გაიზარდოს 10,0 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების დაფინანსება მიმდინარე წელში 2019 წელთან შედარებით გაზრდილია 232,9 ათასი ლარით (42,3%-ით) საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სოციალურმა სამსახურმა სოციალური პროგრამების შემუშავებისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საშუალო ვადიანი პროგნოზებისა და საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული რეგულაციებით.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2022 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^{1}-ე მუხლის 1–ლი და მე–2 ნაწილებისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{2}-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2022 წლის ________________ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2022 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრს N1 დადგენილების (ვებგვერდი, 26/01/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016467) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის“ მე-4 მუხლის „გ“ პუნქტში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

„გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET-CT), კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე

2022 წლის ბიუჯეტის 17 მუხლის შესაბამისი ცვლილება

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 03	**სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა**	დაფინანსება ათას ლარში 92
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება, კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET-CT), კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება 50%. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET-CT), კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.		

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2022 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^1-ე მუხლის 1–ლი და მე–2 ნაწილებისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2022 წლის ________________ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2022 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში (ვებგვერდი, 26/01/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.112.016467), კერძოდ: პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის“:

ა) მე-2 მუხლში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური (შემდგომში – სამსახური).“

ბ) მე-4 მუხლის „გ“ პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე."

გ) მე-5 მუხლში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „მ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ო" „ს" ; „ტ"; „უ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

2022 წლის ბიუჯეტის 17 მუხლის შესაბამისი ცვლილება

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		102
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა. სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.“		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 387 ბენეფიციარი		